



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #005/15¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მარიამ ჩიბურდანიძე (სტუდენტი)

შეკითხვა:

იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატი (წარმომადგენელი) კლიენტის სახელით სარჩელზე მოაწერს ხელს და მინდობილობით, კლიენტის თანხმობით თვითონაც, თავისი სახელითაც ექნება სარჩელზე ხელის მოწერის უფლება, რა შედეგები მოჰყვება აღნიშნულ ქმედებას?

ანალიზი:

შეკითხვა ეხება ადვოკატის მიერ განხორციელებულ ორ ქმედებას. კერძოდ, ადვოკატის მიერ, კლიენტის სახელით სარჩელზე ხელმოწერის საკითხს და მეორე მოქმედება - ადვოკატის მიერ, როგორც თავისი სახელით მინდობილობის საფუძველზე ხელმოწერის განხორციელებას კლიენტის სარჩელზე. ეთიკის კომისიამ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას გამოიყენა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, რომელიც განმარტა შემდეგნაირად ადვოკატი წარმომადგენლობის განხორციელებისას უნდა იყენებდეს კანონიერ საშუალებას. კანონსაწინააღმდეგო მოქმედების განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა არასასურველი შედეგი დადგეს, როგორც ადვოკატის მიმართ, ასევე კლიენტისათვის. კლიენტის სახელით ხელმოწერის განხორციელება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. მსჯელობისას კომისიამ გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება საქმეზე Brandstetter v Austria (განაცხადი №11170/84; 12876/87, 13468/87; 1991 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება) და ეთიკის კომისიის 2014 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება /დისციპლინურ საქმეზე №106/12/, რომლითაც კიდევ ერთხელ განმარტა არაკანონიერი ქმედების შეუთავსებლობა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონთან და ეთიკის კოდექსთან. მხოლოდ პირს აქვს თავისი სახელით ხელმოწერის უფლება, ვინაიდან იგი მისი იდენტიფიცირების საშუალებაა და ასევე შესაძლოა სხვის მიერ ხელმოწერილმა აქტმა შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირები. ეთიკის კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ ეს ქმედება გაუმართლებელია რწმუნებულების არსებობისა და მარწმუნებლის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედების შემთხვევაშიც. ეთიკის კომისიამ ამ გადაწყვეტილებაში განიხილა კლიენტის თანხმობით, მინდობილობის საფუძველზე სარჩელზე ადვოკატის მიერ თავისი სახელით ხელის მოწერა და განმარტა აღნიშნული ქმედება კანონიერია, რადგან ხელმოწერა პირის იდენტიფიცირების საშუალებაა და შესაბამისად, პირს აქვს თავისი სახელით ხელმოწერის უფლება.

დასკვნა:

ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით დოკუმენტზე ხელმოწერა კანონსაწინააღმდეგოა და ეთიკური ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.1 მუხლით. ადვოკატს უფლება აქვს თავისი სახელით მოაწეროს ხელი დოკუმენტზე, კერძოდ, შეკითხვაში აღნიშნულ სარჩელზე, როგორც კლიენტის წარმომადგენელმა.

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c7fb75a6be46.pdf/27%20July%202015%20005.15.pdf>